ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
საბაკალავრო პროგრამა: მუსიკა

კურიკულუმი

დაწესებულების დასახელება	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფაკულტეტის/სკოლის დასახელება	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
პროგრამის დასახელება	**მუსიკა (მირითადი და დამატებითი სპეციალობა)**
პროგრამის დასახელება ინგლისურად	**Music (Major and Minor)**
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია	**ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი სამუსიკო ხელოვნებაში** **Bachelor of Arts in Music Art**
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	8 სემესტრი, 240 კრედიტი • ზოგადი მოდული - 60 კრედიტი. • ძირითადი აკადემიური პროგრამა - 120 კრედიტი. • დამატებითი პროგრამა ან თავისუფალი კომპონენტები - 60 კრედიტი.
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები	მარინა ადამია, პროფესორი რეზო კიკნაძე, პროფესორი ირინე ებრალიძე, ასოცირებული პროფესორი
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	პროგრამა შემუშავებულია 2011 წელს და განახლებულია 2023 წელს. სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით პროგრამა შესაძლებელია განახლდეს ყოველი სასწავლო წლის/სემესტრის დაწყების წინ.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)	
პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს ჩაბარებული უნდა ჰქონდეს ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.	

შიდა საუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტური / გასაუბრება, რომლის ფარგლებში შემოწმდება კონკურსანტის მოტივაცია და საბაზისო შემოქმედებითი უნარები.

პროგრამის მიზნები

საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს მუსიკის სფეროს ძირითადი კონცეფციების, თეორიებისა და მიდგომების ფართო ცოდნისა და მრავალმხრივი შემოქმედებითი უნარ-ჩვევების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტი.

პროგრამა საშუალებს აძლევს სტუდენტს საშემსრულებლო ხელოვნებისა და ელექტროაკუსტიკური და კომპიუტერული მუსიკის სფეროებში სპეციალიზაციასა და საკუთარი მუსიკალური ინტერესების განვითარებასთან ერთად, მიიღოს ფართო და მრავალმხრივი განათლება მუსიკის თეორიას, ისტორიასა და ეთნომუსიკოლოგიაში.

პროგრამა ეყრდნობა საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას, კერძოდ, კარდიფის, ლიდსის, იორკის, სასექსის უნივერსიტეტების (დიდი ბრიტანეთი), კალიფორნიის სან მარკოს, პენსილვანიის შტატის, ვაშინგტონის სენტ-ლუის (აშშ) უნივერსიტეტებისდა სხვა, მსოფლიოს წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების სამუსიკო ხელოვნების პროგრამების გამოცდილებას.

პროგრამა ასევე ორიენტირებულია ისეთი ტრანსფერული უნარების განვითარებაზე, როგორიცაა კრიტიკული ანალიზის, არგუმენტაციისა და მსჯელობის, ქართულ და უცხოურ ენაზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის, ინდივიდუალურად და გუნდში ეფექტიანად მუშაობის უნარი.

სწავლის შედეგები და კომპეტენციები (ზოგადი და დარგობრივი)

<u>პროგრამის კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულს:</u>

1. ავლენს ზოგად ცოდნას მუსიკის შესახებ ფართო ისტორიულ, სოციალურ, კულტურულ, პოლიტიკურ, ფილოსოფიურ, ეკონომიკურ, სულიერ და რელიგიურ კონტექსტში; ასევე, მუსიკის ადგილის, როლისა და მნიშვნელობის შესახებ ადამიანის ცხოვრებაში საგანმანათლებლო, პროფესიული თუ საზოგადოებრივი კუთხით;
2. ავლენს ფართო ცოდნას მუსიკის ისტორიის ძირითადი ეტაპების, უმნიშვნელოვანესი სტილებისა და ჟანრების და მათთან დაკავშირებული მუსიკალური მასალის შესახებ;
3. ავლენს ფართო ცოდნას მუსიკის თეორიის ფუნდამენტური საკითხების შესახებ;
4. ავლენს ფართო ცოდნას მიღებული ინფორმაციის გათავისების, მუსიკის საშუალებით გამოხატვის (მათ შორის ტექნოლოგიების გამოყენებით) და მსმენელამდე დამაჯერებლად მიტანის არტისტული, ტექნიკური, ესთეტური და გამომსახველი საშუალებების შესახებ.

<u>ელექტროაკუსტიკური და კომპიუტერული მუსიკის კურსების ბლოკის შესწავლის შედეგად:</u>

5. შეუძლია საკუთარი მუსიკალური/ხმოვანი იდეების/მასალის გენერირება, ფიქსირება, რედაქტირება, ანალიზი, სინთეზი და გამოქვეყნება/გაზიარება;
6. იყენებს ტექნოლოგიურ რესურსებს მუსიკალური კომპოზიციის, ტექნოლოგიაზე დაფუძნებული შესრულების, მუსიკის პროდიუსინგის, ვირტუალური საკრავების შექმნის, ხმის სინთეზის, ფიქსირებისა და გამოქვეყნება/გაზიარების მიზნით;

7. შეუძლია ტექნოლოგიური რესურსების დიზაინი და შექმნა, კომპიუტერული კოდირების, პროგრამირებისა და აუდიო ელექტრონიკის მეშვეობით, როგორც ინტერფეისის დიზაინის, ისე კომპოზიციისა და შესრულების მიზნით.

<u>საშემსრულებლო ბლოკის კურსების შესწავლის შედეგად:</u>

8. შეუძლია მუსიკალური რეპერტუარის ფართო სპექტრის - მათ შორის უცნობი და ახალი მუსიკალური მასალის - შესწავლა, ანალიზი და შესრულება;
9. შეუძლია სოლო და ანსამბლში სხვადასხვა სტილის, ფორმის, ჟანრის და ეპოქის მუსიკის საკონცერტო პროგრამის/ნაშრომის/პროექტის/პორტფოლიოს შექმნა და მსმენელისთვის ეფექტურად პრეზენტაცია;

ასევე,
10. შეუძლია საკუთარი სასწავლო პროცესის დამოუკიდებლად დაგეგმვა და მართვა;
11. შეუძლია ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვით მუსიკის, ხელოვნების და სხვა დარგების წარმომადგენლებთან ეფექტიანი თანამშრომლობა.

სწავლების მეთოდები

- ლექცია-სემინარი;
- პრაქტიკული სწავლების მეთოდი;
- წერითი მეთოდი;
- ელექტრონული სწავლების ელემენტები;
- ინდივიდუალური სწავლების მეთოდი;
- ჯგუფური სწავლების მეთოდი;
- დემონსტრირების მეთოდი;
- დისკუსია;
- შემოქმედებითი პროექტი/ნაშრომი/პორტფოლიო;
- პრეზენტაცია;
- რეპეტიცია;
- კონცერტი;
- და სხვ.

პროგრამაში ასევე გამოიყენება სხვა მეთოდები, რომლებიც პროგრამის კომპონენტების სპეციფიკიდან გამომდინარე გაწერილია შესაბამის სილაბუსებში.

პროგრამის სტრუქტურა

მუსიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი. აქედან:

1. **ზოგადი მოდული** - 60 კრედიტი. აქედან:

- შესავალი თანამედროვე აზროვნებაში 1,2- 12 კრედიტი

- აკადემიური მუშაობის ტექნიკები-6 კრედიტი
- სტატისტიკა-6 კრედიტი
- ინგლისური ენის პრაქტიკული კურსები-24 კრედიტი
- შესავალი კურსები კოდით INTRO- 12 კრედიტი.

<u>შენიშვნა:</u> პირველი სასწავლო წლის მეორე სემესტრში ზოგადი მოდულის პარალელურად მუსიკის პროგრამის სტუდენტებმა უნდა გაიარონ კურსები: „მუსიკის თეორია პრაქტიკაში 1“ და „მუსიკის ისტორია 1 (უძველესი დროიდან რომანტიზმამდე)“.

2. **ძირითადი სპეციალობის კურსები** - 120 კრედიტი. აქედან:

- პროგრამის სავალდებულო კურსები - 18 კრედიტი
- *<u>ელექტროაკუსტიკური და კომპიუტერული მუსიკის ბლოკის არჩევის შემთხვევაში:</u>*
  - ბლოკის სავალდებულო კურსები - 54 კრედიტი
  - ბლოკის სავალდებულო-არჩევითი კურსები - 24 კრედიტი
- *<u>საშემსრულებლო ბლოკის არჩევის შემთხვევაში:</u>*
  - ბლოკის სავალდებულო კურსები - 18 კრედიტი
  - ბლოკის სავალდებულო-არჩევითი კურსები - 48 კრედიტი
- პროგრამის არჩევითი კურსები - 24 ან 36 კრედიტი.

3. **თავისუფალი კომპონენტები, ან დამატებითი პროგრამა** - 60 კრედიტი

შეფასების წესი

შეფასება 100 ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. ქულები გადანაწილდება და ისაზღვრება ამგვარად:
(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი -მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;
(FX) ვერ ჩააბარა- მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა- მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების დეტალური სისტემა, შეფასების მეთოდების, კომპონენტების და კრიტერიუმების გათვალისწინებით გაწერილია კურსის/კომპონენტის სილაბუსში/კონცეფციაში.

დასაქმების სფეროები
• საკონცერტო ესტრადა (სოლო, ანსამბლის, გუნდის, ორკესტრის შემსრულებელი); • აკუსტიკური და ელექტროაკუსტიკური კომპოზიტორი, (როგორც დამოუკიდებელად (Freelance), ისე რომელიმე სტუდიისა თუ სამაუწყებლო კომპანიაში); • მუსიკის კონსულტანტი; • სამუსიკო სფეროს ადმინისტრატორი; • სფეროს პოლიტიკისა და სტრატეგიის შემქმნელი; • კონცერტების და სხვა საჯარო ღონისძიებების პრომოუთერი; • მულტიმედიური პროდუქციის (ფილმის, ვიდეოს, თეატრის, და ა.შ.) გამფორმებელი; • ტექნოლოგიაზე დაფუძნებული მუსიკოს-შემსრულებელი (დიჯეინგი, ლაივ-კოდინგი, და სხვ.); • ვიდეო-თამაშების ხმის დიზაინერი; • მექანიკური და ვირტუალური ინსტრუმენტების დიზაინერი; • ხმის ინჟინერი; • აუდიო-ინჟინერი და/ან აუდიო-ვიზუალური ინჟინერი; • აუდიო-ვიზუალური ტექნიკოსი; • მიქსერი; • ბუმ-ოპერატორი; • ვიდეო/აუდიო რედაქტორი; • სხვადასხვა ტიპის შემოქმედებით სტუდიების მენეჯერი (ხმის ჩამწერი, საკონცერტო და სხვ.); • სტუდიის ასისტენტი; • მუსიკის პროდიუსერი; • ივენთ-სპეციალისტი; • სპეციალური სასერტიფიკატო კურსის/პროგრამის გავლის შემთხვევაში სათემო მუსიკისა ან/და მუსიკის თერაპიის სპეციალისტი; ასევე, • კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები; • მუსიკალური გამომცემლობები; • ტელე და რადიო მაუწყებლობა; • სარეკლამო კომპანიები; • მუსიკის პროდიუსინგის კომპანიები; • საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში სკოლამდელი, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები და სპეციალიზებული სამუსიკო საგანმანათლებლო დაწესებულებები; • აკადემიური სტრუქტურები; • და სხვ.
სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები
<u>სწავლა-სწავლების ეფექტიანად წარმართვისთვის საჭიროა უნივერსიტეტში არსებული:</u> • სპეციალურად აღჭურვილი სალექციო აუდიტორიები; • სარეპეტიციო სტუდია • საკონცერტო სივრცეები • ელექტროაკუსტიკური სტუდია

- სპეციალური საკომპოზიტორო და სარედაქტორო პროგრამები
- კლავიშიანი საკრავები
- ჯაზ-ორკესტრის საკრავები და გახმოვანების აპარატურა
- ჯაზ-ვოკალის გახმოვანების აპარატურა
- საინფორმაციო კომპიუტერული ცენტრი
- სასწავლო ლაბორატორიები
- საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკები
- არგუსი, e-learning და Turnitin-ის სისტემები
- კომპიუტერები, მონიტორები, დინამიკები

პროგრამა თანამშრომლობს პარტნიორ ორგანიზაციებთან, როგორიცაა კალიარის კონსერვატორია (სარდინია), საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირი, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი, ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმი), რომლებიც ჩართულნი არიან პროგრამის ეფექტიან განხორციელებასა და განვითარებაში.